141

საქართველოს გაზეთი

ნოემბრის 6 დღეს ჩყით წელსა ტფილისში.

Но. 36.

## განცხადებანი

ქართულის გაზეთის გამომცემნი ვალად თვი-
სად ჰრაცხვენ, რათა წინასწარ აცნობონ უმა-
ტიტულებულთა და საზოგადოებასა, რომელ გა-
მოცემა ქართულისა გაზეთისა განგრძელების მომა-
ვლისა ჩყკ წელსა. მას შინა შე-
წყალ იქმნებიან თვით იგივე მუხლნი, რო-
მელნიცა მოხსენებულ იყუნეს გამოცხადებასა
შინა დაბეჭდილსა უწინარეს ამისა შემოღები-
სათვს აქა გაზეთის ბეჭდვისა.

გაზეთი ესე გამოცემულ - იქმნება ათას
რვაასოცის ქრისტეს წლის იანვრის პირველის რიც-
ხვიდგან, თვითო კვირაში თვითო დაბეჭდილი
ფურცელი.

შესაწირი ფასი დანიშნულ - არს საკმაოდ
ზომიერი სრულიადის გაზეთის აქ ტფილისსა
შინა გამოცემისათვს სამი რუბლი თეთრი ფული
და სხვათა ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებნი
წარსაგზავნელად მათდამი გაზეთისა ამის მის-
ცემენ ერთისა ამაზსა სრულის დროსათვს. ამის-
თვს, რომელ წარსრულსა შინა წელსა გაზეთისა
ამის ვინწყეთ გამოცემად მარტის თვეში, და ან
იწყება გამოცემა მისი პირველის იანვრის რიც-
ხვითგან, და მან წარსრულის წლისაზედ მოემატება
ათი ფურცელი და იქმნება არლა ორმოცი, არამედ
ორმოცდა ათი ფურცელი საკუთართა შემთხვევა-
სა შინა მომატებათათანა.—

ხელწერილი და თეთრი მიღებულ იქმნებიან
ამ ნოემბრის თვს ათხუთმეტის რიცხვითგან
აქ კორპუსის შტაბის სახლსა შინა; სადაცა
გამართულარს სტამბა, ყოველდღე ცილის
ცხრას საათითგან შუადღის შემდგომად ს ს
საათამდი; და სხვათა ქალაქთა და ადგილთა
მცხოვრებთა მალულით მისწერონ და თეთრი მო-
ცემ უფლითა ოკრუჟნისა და სხვათა კერძოობითთა
ნაჩალნიკთა იქა ვინ სადაცა მახლობელად იმ
ყოფების.

რუსულენიკელის ექსპედიციისაგან მოწოდე-
ბულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყი-
დვის მოწადენი, რადგან იქანი საკუთარის
ვალების მიუცემლობისათვს გაყიდულნი არიან
საქვეყნოს გაასაყიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.

გორის უეზდის სოფელს დავრის მცხოვრებნი ბარაიი მაჩაბელთგის ყმა დათუა კვალდერიძე თავისის ცოლით ვაჟისა და ქალის შვილებით, ძმის წულით ნინიათი და ვენახით იმ ას სამოცს და სამს რუბლს თეთრში, რომელსაც ჰმართებს მას აზნაურის გამაშვილის ქალის ელისაბედისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ამ წლის ნოემბრის გ. და დეკემბრის ვ და გ. რიცხვებში.

ბ.

თელავის უეზდის სოფელს ფიჩხოვანს მცხოვრებნი რვა კომლი ყმა ლუარსაბნსკის სევრუგოვის ნათლივისა იმ ათას ას ოცს რუბლს ვერცხლის ფულში, რომელსაც ჰმართებს მას ლუარსაბნსკისავე სევრუგოვის თავადის მეღვინე ადმინისტრაციის. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ამ წლის ნოემბრის იი და გ. და დეკემბრის იზ. რიცხვებში.

გ.

დუქანი თბილისის მცხოვრების ოძგოძ ამი მელიქოვისა თბილისის ქალაქის მეორეს ჩაწის ბირჟის კვარტალში მდგომარე იმ ხუთასის რუბლის ვერცხლის ფულის ვალში, რომელსაც ჰმართებს მას კანცელარისტის აივაზოვისა იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ნოემბრის იგ და კ. და დეკემბრის იე რიცხვებში.

[illegible] ამისა

დ.

საყოველთაოდ იცხადება, რომელ მოწოდებულნი არიან ვალის ამღებნი და ვალის მიმცემნი თბილისში მცხოვრებთ ნონიასა და აპელა შალიკაშვილთანი ანუ, რომე ისინი უნდა გამოცხადდნენ კანონიერის საბუთებით თბილისის უეზდის სუდში ორს თვეზედ.

ე.

უნდა მოიძებნოს ოჩაკოვის ციხიდგან გაპარული კაცის მკვლელი ოჩაკოველი მდაბალი მოქალაქე იოანე იგნატენკა, რომელსაც ეს ნიშნები აქვს. ტანით არის საშუალი, თმით ბზისფერე ქერა, თვალ ჭრელი, სახით წმინდა, ცხვირი აქვს ზომიერი, ულვაშსა და წვერს იპარსავს, ცოლი არა ჰყავს, ხნით არის ლ წლისა ნათესავით მალოროსიელი.

ვ.

ბ[illegible] საზოგადოს საცნობელად წარმოწერა მმართებლობის სენატისა, რომელ ყოველთა საბუთთათვის, რომელნიცა დაწერილ არიან საქართველოსა შინა უბრალოსა ქაღალდსა ზედა საყოველთაოს გამოცხადებამდე უმაღლესის უკაზისა ამ წლის იანვრის ორს რიცხვს გამოსულისა შემოყვანისათვის საქართველოსა შინა და ღერბის ქაღალდის, დებულებისა არა ჯერ არს გამორთმევა თეთრისა ღერბის ქაღალდისათვის და უნდა გამოართვან თეთრი მხოლოდ იმ საბუთთათვის, რომელნიცა დაწერილ არიან უბრალოსა ქაღალდსა

ზედა ამ ქუეყნის საყოველთაოს გამოცხადე-
ბის ჟამითგან, და ამ ჟამითგან ყოველნი სა-
ბუთნი უნდა დაწერილ და მიღებულ იქმნებოდენ
არა სხვგან, ვითარცა განწესებულსა დადებუ-
ლებითა. შემდგომილის ია. დღეს ჩყიბ.
წლის დეკემბრის ქალაქსა ზედა.—

---

გამოჩენისათვს ყმაწვილთ ბუნებითის ყვა-
ვილისა შემდგომად აცრილის ძროხის ყვავილისა.

შეიტყვნი ძროხის ყვავილისანი ამტკიცებენ, რომელ შემდგომად მისა ბუნებითი ყმაწვილთ ყვავილი შეხვდების უფრო მცირად, ვიდრემდის შემდგომად ჩვენ ლედინის აცრილის ყვავილისა, სხვანი გვარწმუნებენ, რომელ თუმცაღა იქმნებიან მიგავსნი შემთხვევანი, გარნა იგინი ფრიად იშვიათ არიან.

დჟენნერი, რომლისაცა ჰაზრი ჯერ-არს, რათა იყოს ჩინებულ, იტყვის, რომელ ერთსა შინა ადგილსა უნახავს მას მრავალნი მაგალითნი ორგზისათის ყმაწვილთ ყვავილისანი; გარნა მცხოვრებთაგანსა, რომელთაცა ჰქონიესთ ძროხის ყვავილი, კიდრემდე უწინარეს რვა წლისა არცა ერთსა შეჰყრია ჩვეულებრივი ყვავილი თუმცაღა მათ ჰქონიესთ შარავის მიქცევად ხეულთოისა.

ფრანცუზთ მკურნალთ შეისწავლებიათ თვით იგივე, გარნა უფრო მცირე ჰგონებს, რომელ მრავალთა მათ, რომელთაცა ჰქონიათ აცრილი ყვავილი ძროხისა, მიუღიათ კვალად ბუნებითიცა ყვავილი; მიზეზად ამისა ჰგონებს იგი, რომელ არს ორგულის მოღონებულად, რომლითაცა აუწყრიან ყვავილისა ძროხისასა. ჭკოიქცევიან ყოველსა შინა განკრძობასა ხნეულებისასა. აცრა ირაცხების ფრიად ადვილ საქმედ, და კიკვლი მზა არს კელყოფად მისა, ხოლო შორის მისა თვით მკურნალთა არა დამცველთა ხნეულების წარმოებისათა, არა მალულით დარწმუნებულ-კიდე, ნამდვილ გამოჩენილ არაა ძროხის ყვავილი გარნა ყოველთა დაცვათა მიერ დამტკიცებით, რომელ კაცნი, რომელნიცა შემდგომად ძროხის ყვავილისა მიღებენ ჩვეულებითისა ყვავილსა იხდიან მას თვნიერ ყოვლისა საშიშროებისა.

დღეს ფრიად საამოდ წარსაკითხავს წიგნი რომლისაგანცა მოვიყვანეთ წინადადებულნი აქა შენიშვნანი, იგი იჭვრობს თვს შორის მრავალთა კმაყოფილებით გამოსამიებელთა ცნობათა ვიდრემდე კაცთა თვისცა უმეცართა. ჩვენ მხოლოდ წინადავჰხსდებთ უკანასკნელსა ჰაზრსა უფლის მონრხის შენიშვნისაგან.

აქა იგულისხმების წიგნი უფლის მინრონი სხვა და სხვათა დაკვრათათვს ყოველთა გვართა ყვავილისათა და უმეტესად მისა, რომელიცა იქმნების შემდგომად ძროხის ყვავილისა.

ბუნებითისაგან ყვავილისა მოკვდების მეათედი ნაწილი მათი, რომელთაცა ჰსჭირდებიათ იგი, გარდა ამისა იგი ფრიად მრავალთა უსახო ჰყოფს.

აცრილისაგან ყმაწვილთ ყვავილისა მოკვ-

ლების ერთი კაცი ოთხასის კაცთაგან; იგი უხა-
ხო ჰგონებს რომელთამე მკირედ და ფარავს მერ-
რ სა ყვავილისაგან მხოლოდ ერთარ ყვავილიცა
მრ...ისა; იგი ოდესმე იქმნების ერთგულ მომაკ-
ვლინებელი.

წინააღმდეგ მისა ყვავილი მრთხისა არავის
უსახო ჰგონებ, რიცხვი მათი, რომელთაცა შემ-
დგომად მ ერუბით ჩვეულებითი ყვავილი, იქ-
ნების ერთად უმცირეს რიცხვისა მათისა, რო-
მელნიცა იქნებიან მეორის ყვავილისაგან შემდ-
გომად აცრილის უმანწვილთ ყვავილისა.

ყვავილი მრთხისა შეამცირებს სიმახინჯესა
და გულსა ჩვეულებითის ყვავილის ნივთისასა
ქსრეთი, რომელ განგრძობასა შინა ოცისა წლისა-
სა, ყოველსა შინა დროსა მრთხის ყვავილის
აცრისასა, მცირედამე შენიშნულარიან ორნი
ყრმანი შემთხვევანი, რათამცა ბუნებითი
ყვავილი გამოჩენილი შემდგომად მრთხის ყვავი-
ლისა ყოფილ იყოს მომაკვდინებელი.

---

ასტრონომიის მრიცხველობათაგან ცხადდების
რომელ შემდგომსა მომავალსა შინა წელსა ჩვენ
ვიქმნებით მოწამე ერთისა მკვირთა გამოცხადე-
ბათაგანისა ცისა ზედა, სახელდობ მეშვიდესა

---

(ასტრონომია არს ვარსკვლავთ მრიცხველობა)

რიცხვსა ხუთმეტისასა ახლისაებრ შთულისა;
ხოლო მველისაებრ ოც და ექვსსა რიცხვსა აგვის-
ტოსასა ძუადღისას იქმნების სრული დაბნელება
მზისა, რომელიცა ერთად დიდიხანი უკვე არს
არა გვინახავს ჩვენგან დამკვიდრებულსა პლანე-
ტასა ზედა. ნიდერლანდთა შინა გამოსრულ-
არს ამა საგანსა ზედა წიგნი, რომელიცა მოგ-
წერების მეცნიერსა კაცსა ცანსვიდისურს სურა-
თითურო, რომელსაცა ზედა გამოსახულარი დაბ-
ნელება სამთა სხვა და სხვათა სახეთა შინა.

---

(პლანეტა არს ცთომილი ვარსკვლავი.)